



# ASO®-Joint-Tape-2000-S

Art.-No 2 05939

# ASO®-Joint-Tape-2000-S-Wide-Section

სპეციალური ჰიდროსაიზოლაციო ლენტა, მაღალი დატვირთვისთვის

- რამდენიმე კომპონენტით შედგენილი მასალა
- განსაკუთრებულად ელასტიური და მტკიცე
- წყალგაუმტარი
- ორთქლ გამტარი
- თხელი
- უძლებს ულტრაიისფერ გამოსხივებას
- უძლებს -22°C დან +90° მდე ტემპერატურას
- წებოს, შემაწებელი მასალის და წყლის შემცველი წყალგაუმტარი მემბრანის სწრაფი გაშრობის გარანტი
- რეზისტენტულია აგრესიული გარემოს მიმართ



აკმაყოფილებს „წყალგამძლეობის ტესტს მოპირკეთებულ ზედაპირთან ერთად, წყალგამძლე გარსების მონაცემთა ფურცლის მეორე ნაწილის მიხედვით“. ტესტის სერტიფიკატის ნომერი: P-5078/818/08/MPA BS

**გამოყენების არეალი:**

ASO-Joint-Tape-2000-S გამოიყენება სამშენებლო კუთხეების და გადაბმის წერტილების წყლისგან დასაცავად წყალგაუმტარ მემბრანებთან ერთად, მათ შორის SANIFLEX, SANIFIN, AQUAFIN-1K-flex, AQUAFIN-2K, AQUAFIN-2K/M, AQUAFIN-RS300, ASOFLEX-AKB და ADF-Balkonfolie.

ASO-Joint-Tape-2000-S მარტივია გამოსაყენებელი, ორთქლ გამტარია და კარგად მუშაობს ზემოთ ჩამოთვლილ წყალგაუმტარ მემბრანებთან ერთად.

**ASO-Joint-Tape-2000-S** აკმაყოფილებს სისველის გამძლეობის A, B და C კატეგორიებს ტექნიკური ტესტირების კრიტერიუმებით და A0 და B0

კატეგორიებს, ZDB მონაცემთა ფურცლის მიხედვით

„შეერთებული წყალგაუმტარი მემბრანები შიდა და გარე გამოყენებისთვის“. ჩვენი რჩევაა ეს ნაწარმი გამოიყენოთ სისველის A0, B0, A, B და C კლასიფიკაციების შემთხვევებში და აბაზანებში, საშარეულოებში, კერძო და საჯარო სანიტარულ დაწესებულებებში, აივნებზე, ტერასებზე, საცურაო აუზებზე (აუზის შიგნიდან და გარშემო), მიწისქვეშა პარკინგებზე და ადგილებში რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი აქვთ მიწასთან.

**ტექნიკური მონაცემები:**

ბაზა: შედგენილი მასალა - მატყლი, მემბრანა  
 ფერი: თეთრი, წარწერით SCHOMBURG  
 წონა: დაახლ. 270 დან 340 გ/მ<sup>2</sup>  
 სისქე: დაახლ. 0.45-0.66 მმ  
 ტესტირება: SANIFIN წყალგამძლე სისტემის კომპონენტი.

გასკდომის წნევა:	> 1.5 ერთეული
SD მნიშვნელობა DIN EN 1931-ის მიხედვით:	< 2 მ
ულტრაიისფერი სხივების გამძლეობა DIN EN ISO 4892-2 მიხედვით:	მინიმუმ 500 საათი
ტემპერატურის სიმტკიცე:	-22C დან +90C მდე
სიგრძივი გახვევის მიმართ სიმტკიცე DIN 527-3:	> 116 N / 15 მმ
განივი გახვევის მიმართ სიმტკიცე DIN 527-3:	> 107 N / 15 მმ
სიგანეში გაწელვა DIN 527-3:	> 600%

ქიმიური მდგრადობა +22C ზე 7 დღის შენახვის შემდეგ ჩამოთვლილ ქიმიურ ნივთიერებებთან:

ჰიდროქლორული მჟავა	3%
გოგირდის მჟავა	35%
ლიმონის მჟავა	100 გ/ლ
რძის მჟავა	5%
კალიუმის წყალჟანგი	20%
ნატრიუმის ჰიდროქსიდი	0.3 გ/ლ
მარილიანი წყალი	20 გ/ლ (ზღვის მარილი)

# ASO®-Joint-Tape-2000-S

# ASO®-Joint-Tape-2000-S-Wide-Section

## შეფუთვა:

იზოლენტა: სისქე 12 სმ და 20 სმ, +/- 3მმ  
განიერი სექცია: სისქე 50 დან 100 სმ მდე +/- 4მმ  
შენახვის ვადა: 24 თვე ამინდისგან დაცულ, მშრალ ადგილზე

## წინასწარ მომზადებული ნაჭრები:

ASO-Joint-Tape-2000-S-კუთხეები  
ASO-Joint-Tape-2000- ჯვარედინი 20 სმ-იანი ლენტა  
ASO-Joint-Tape-2000-S-T ფორმის 20 სმ-იანი ლენტა  
ASO-წყალგამძლე შუასადები კედელი 12 x 12 სმ  
ASO-წყალგამძლე შუასადები იატაკი 45 x 45 სმ  
ASO-Joint-Tape-2000-S- განიერი სექცია - 50 დან 100 სმ- მდე  
მოთხოვნის მიხედვით

## სუბსტრატის მომზადება:

ყველა ჩვეულებრივი სუბსტრატი, რომელიც მომზადებულია მართებულად და შეესაბამება წყალგამძლე მემბრანის ან კაფელ-მეტლახის და კრამიტის დამონტაჟებას შესაფერისი სისველის გამძლეობის კატეგორიებით (ZDB ტექნიკური მახასიათებლის „შეერთებული წყალგამძლე მემბრანები“). გლუვი, 0.1 მმ-ზე ვიწრო ბზარები ზედაპირზე მისაღებია.

## პროდუქტის მომხმარებლის წესი:

კონსტრუქციული ნაკერების ჰიდროიზოლაცია, კედლების და იატაკის კუთხეებისა და გვირაბებში არსებული ცივი ნაკერების გადასაბმელად:

კონსტრუქციული ცივი ნაკერების სრული ჰიდროიზოლაციისთვის ASO-Joint-Tape-2000-S ან ASO-Joint-Tape-2000-S დავაკრათ კუთხეებსა და ჯვარედინად გადაკვეთის კუთხეებში წყალგამძლე მემბრანასთან ერთად, გამოიყენეთ ASO-Joint-Tape-2000-S ან ASO-Joint-Tape-2000-S შიდა/გარე კუთხეებისთვის კედლების და იატაკის კუთხეებში და კონსტრუქციულ ცივ ნაკერებში ზედაპირზე ლენტის ნაკვეთების და ბზარების გარეშე. ადგილები სადაც ორი სტრუქტურული ცივი ნაკერი კვეთს ერთმანეთს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ASO-Joint-Tape-2000-S ან ASO-Joint-Tape-2000-S. მთავარია დარწმუნდეთ, რომ წყალგამძლე მემბრანა სრულიად ფარავს სასურველ ზედაპირს.

1. დაფარეთ შეერთების წერტილის ორივე მხარე წყალგამტარი მემბრანით ლენტის სიგანეზე მინიმუმ 2 სმ-ით მეტით (მაგ. 4-6 სმით).

2. წყალგამტარ მემბრანაზე გააკარით ლენტი ნაკვეთების და ღრმულების გარეშე, მეტალის საბათქაშე ნიჟბის ან ცილინდრის გამოყენებით. დარწმუნდით, რომ სისველე მაქსიმალურად გამოიღვენოს ლენტსა და წყალგამტარი ლენტს შორის. ბუნებრივია, ლენტის გაკვრის შემდეგ მის ქვეშ არ უნდა დარჩეს წყალი

3. მოძრავი დეფორმაციის შემთხვევაში წყალგამძლე ლენტი უნდა გამოიყენოთ პეტლისებრული მეთოდით. ცივ ნაკერზე ლენტის სრული დატანების შემდეგ გადააცილეთ 5-10 სმ ისე რომ არ გაკეთდეს ღრმულები ან ნაკვეთები.

## სტრუქტურული მოძრავი სამშენებლო ცივი ნაკერის ჰიდროიზოლაცია:

გადააკარით ASO-Joint-Tape-2000-S მარყუჟისებრი მეთოდით, სასურველ წყალგამტარ მემბრანებთან ერთად სამშენებლო ცივ ნაკერს და დაფარეთ წყალგამძლე შრით ღრმულებისა და ნაკვეთების გარეშე. ჯვარედინი გადაბმის შემთხვევაში გამოიყენეთ ASO-Joint-Tape-2000-T ფორმის ან ASO-Joint-Tape-2000 ჯვარედინი ლენტები.

## რჩევები:

• მიყევით სამშენებლო ტექნოლოგიების აღიარებულ რეგულაციებს

• წინასწარ მოჭრილ ლენტის სექციებს შეძლებისდაგვარად მოაშორეთ წებოვანი ზოლები. შეერთების წერტილები დაამუშავეთ ისე, როგორც აღწერილია ნაწარმის გამოყენების მე-3 პუნქტში.

• ზედაპირი რომელიც მუშავდება ASO-Joint-Tape-2000-S გამოყენებით აუცილებლად დაიცავით მექანიკური ზიანისგან

• არ გამოიყენოთ ASO-Joint-Tape-2000-S წყალში გასახსნელ ნაწარმთან ერთად

• გადაბმის წერტილები, პერიმეტრები და უბეები ნაწარმის გამოყენების პროცესში უნდა გაჩერდეს უძრავ პოზიციაში შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

• მიყევით შესაბამის რეგულაციებს, მაგ. DIN 18157